# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 226. ხუთშაბათი, 10 ივნისი 1904 წ. გაზეთის № 2520.





წარსულიდან.—ბრძოლა დროშისათვის.—სურათი კოსაკისა.

### მხოლოდ ნაღველი სამუდამოა!

სალამო არის. მწვანე ფოთლებზე
სძინავს ნიავსა, დღე იწურება;
უკანასკნელი კვდება მზის სხივი,
მთა ცის სივრცეში გაიყურება.
აღმოსავლეთით გამოჩნდა მთვარე,
მისდევს ვარსკვლავი—პირის ფარეში;
ასე სდარაჯობს სატრფო საყვარელს,
სდარაჯობს ცელქსა ტურფა ღამეში.
იცრება სიო. ველმა გულ-მკერდი
აივსო ნამით, სწოვს სიცოცხლესა,
რომ განთიადზე ნექტარ-სურნელი
მან დააპკუროს მომავალ დღესა.
დიაღ, ღამეს დღე ისევ მოჰყვება,
მზე გაბადრული ისევ ამოვა,
ღამეს დღე შესცვლის, დილა სალამოს,
მხოლოდ ნაღველი სამუდამოა!

—

აჰა, აივსო ცა ვარსკვლავებით,
აენთო ხომლი, შეკრთა დრუბელი,—
წავიდა ზღაზვნით და ცის კიდურზე
გაწვა, ვით აგი, შხამ-კბილა გველი.
მთამ გადიბერტყა სალამოს ბინდი,
ტყემ გაიღვიძა, აიშრიალა,
მოსწყდა ნიავი და გაიტაცა
სურნელოვანი ტკბილი ფიალა.
მეჯლიშობს ღამე გაზაფხულისა,
წკრიალებს სიმი სიყვარულისა,
იდრე ზამთარი მას ცრემლს დაურთავს.
მაგრამ ზამთარსა კვლავ გაზაფხული
შესცვლის, მერცხალი ჭიკჭიკით მოვა,
მხოლოდ ნაღველი, ჩვენი ნაღველი...
საუკუნოა, სამუდამოა!

—

ეჰ, რისთვის ხარობს ასე ბუნება?!
ხანდისხან ღიმი ჩვენც გვიკრთის ტუჩზე,
მაგრამ ეს მწარე დაცინებაა
გულის წიაღში ცრემლის ჩუხჩუხზე!
ასე ბულბული გადამჭკნარს ბუჩქზე
ხშირად მღერის მოტყუებული
და, რა დახედავს შტოს გაცრეცილსა,
თავს ჰკიდებს, რჩება დაღონებული;
მაგრამ ის სხვა ვარდს მოულობს კვალად,
მას გაზაფხული კიდევ მოუვა,
მხოლოდ ნაღველი მწარე ნაღველი...
საუკუნოა, სამუდამოა!

—

სამხრეთისაკენ ჩადის მრავალი,
სასწორმაც იქით გადაიწია;
ქრება ვარსკვლავი, მისდევს მეორე,
აწ განთიადმაც ამოიწია.
მთვარეს უქრება ოქროს საშუქი,
თითქო სულთ-მობრძავს ელევა ფერი;
აღმოსავლეთით იღება კარი,
ჩრდილოეთიდან დაჰბერაჟსიომ.
მთა შეიბერტყა, ასწია თავი,
და ლაჟვარდ ცაში დროშა-გაშლილი
მზემ შეაცურა ამაყი ნავი.
გათენდა დილა, დღე გადიშალა,
სადღაც ჩამოჰკრეს ცისკარის ზარი,
მოკვდა წუხილი, გარდაიცვალა
და აზმაურდა კვლავ მთა და ბარი.
მაგრამ სალამო კვლავ გაცოცხლდება,
პირბადრი მთვარე კიდევ ამოვა,
სიკვდილ-სიცოცხლე სცვლიან ერთმანეთს,
მხოლოდ ნაღველი... სამუდამოა!

ი. ევდოშვილი.

---

### სოლონი ლიდიაში

—

ფილოსოფიური ამბავი

(თარგმანი *)

სარდაზში დიდხანს სცხოვრობდა სოლონი; და კრეზიც, რაც ხანი გადიოდა, უფრო პატივით ექცეოდა ათინელს. იგი ყოველ დიდ სახელმწიფო საქმეების შესახებ მიჰმართავდა ხოლმე რჩევისათვის სოლონს. ერთხესამივენი, მეფე, ბრძენი კანონმდებელი სოლონი და მეიგავარაკე

ეზოპოსი განცხრომით შემოსხდომოდნენ სუფრას. კრეზი სცლიდა ჰიქებს და ჩვეულებრივზე ჩუმად იყო, დანარჩენნი ორნი კი მშვიდ ოცნებებს ეძლეოდნენ. კრეზის უცნაურმა მდგომარეობამ ძლივს ეზოპოსის ყურადღება მიაქცია.

— მე გაგიმხელთ ჩემ უცნაურ მდგომარეობის მიზეზს, ჩემო მეგობრებო, — უთხრა მეფემ და ანიშნა მონებს, რომ წასულიყვნენ. — დღეს — განაგრძო — მოულოდნელად წარმომიდგა

## იაპონიის ცხოვრებიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან.)



გარეგნული შეხედულობა კეთილშობილური ჰქონდა და ღირსეულადაც ატარებდა ბერძნულ ხიტონს. ახალგაზრდა სახე სილამაზითა და ჯან-მრთელობით უბრწყინავდა.

— ევკოსმოს! — მშვიდად უთხრა მეფემ, — ესენი ჩემი მეგობრები არიან. შეგიძლიან ამათთან ილაპარაკო ისევე თავისუფლად როგორც ჩემთან ლაპარაკობდი. გაგვიმარტე შენი სასწაულებრივი გამოგონება.

— აი, ჩემი გამოგონება, — ცხარედ





იაპონელი მოჭიდავენი.

სამძიმო ამოცანა ჩემის მეფობისა. არასდროს არ მიმიმართნია ღმერთებისთვის ამნაირ მხურვალე ლოცვით, რათა მათ მიჩვენონ ნამდვილი გზა.

— რაშია საქმე, კრეზო? — წყნარად ჰკითხა სოლონმა.

— ჩემთან მოვიდა ყრმა, ჩამომავლობით იონიელი, ბალისიდან, და მთხოვა ცოლად ჩემი ქალი.

— იგი მეფეთა სისხლისაა? — იკითხა ეზოპოსმა.

— იგი შეიძლება მეფეებზე მაღალიც იყოს, — უპასუხა კრეზმა, — თუმც იმისი მამა თავს ხელოსნობით ირჩენს ბალისში.

— მე არა მესმის რა შენი! — სთქვა სოლონმა.

კრეზმა მიუგო:

— ყრმა ამტკიცებს, ისეთი რამ გამოვიგონე, რომელიც სამუდამოდ განდევნის გაჭირვებას კაცთა საზოგადოებიდანაო. უნდა ეს გამოგონება მე მაჩუქოს, ლიდიელებს, სამაგიეროდ ცოლად მთხოვს ჩემს ომფალას, რომელიც უსამზღვროდ უყვარს თურმე.

— კაი გემო ჰქონია! ჩაიცინა ეზოპოსმა. სოლონმა კი გამოკითხვა დაუწყო.

— რა გამოუგონია?

— დეე, თვითონ გიამბოთ.

მალე მეფისა და იმის მეგობრების წინაშე წარსდგა ბალისელი ევკოსმოსი. სთქვა ევკოსმოსმა და პატარა პარკი ასწია მაღლა.

— რა გაქვს მანდ? ოქრო? — ჰკითხა ეზოპოსმა.

— მეტიც! — გაიღიმა ევკოსმოსმა: — ოქროზე გაცილებით მეტი... ფქვილი!

მეიგავარაკე, გამხიარულებული ევკოსმოსის პასუხით, სოლონს მიუბრუნდა:

— ჩვენ კეთილშობილ მასპინძელს უნდა ხუმრობით შეგვაქციოს.

— არა, — მოუთმენლად წამოიძახა კრეზმა, — იგი მართალს ამბობს... სთქვი, ევკოსმოს!

— ეს ფქვილია, — გაიმეორა ჭაბუკმა, — ფქვილი, რომელიც მე თვითონ მოვამზადე.

ეზოპოსი სიცილისაგან მუცელს ძლივს იჭერდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, შენ მოხანი მიწა, დასთესე პური, მომკევი, დაფქვი ხორბალი და აქციე ფქვილად. რაღაც ამის მსგავსი მე უკვე მინახავს რამდენჯერმე.

ევკოსმოსმა შეჰხედა მომცინარე ეზოპოსს.

— მე არ მომიხნავს მიწა, არც ხორბალი მქონია და ამიტომ არ შემეძლო ხორბალი დამეფქვა. ეს ფქვილი სულ სხვა საშუალებით არის გაკეთებული.

— სხვა საშუალებით?—წაიდუდუნა სოლონმა.

— და არც განსხვავდება საუკეთესო ხორბლის ფქვილისაგან,—დაუმატა კრეზმა:—პური; რომელიც დღეს სადილზე ვჭამეთ, ამ ფქვილისაგან იყო გამომცხვარი.

— ჩინებული გემოსი იყო,—გაკვირვებით დაამოწმა ეზოპოსმა.

სოლონმა შუბლ-შეჭმუხვნით მიჰმართა ჭაბუკს:

— ნუ დაგვცინი, ჭაბუკო! თუ მეფე გაძლევს ნებას გაართო იგი, მაშინ სხვებთან მაინც არ უნდა გაიმეორო უაზრო სიტყვები!

ევკოსმოსმა წყნარად უპასუხა:

— მე გიცნობ, შენ სოლონს გიწოდებენ, და ღრმა პატივსაცა გცემ. მაგრამ ყოვლად ძლიერ ზევსს გეფიცები, რომ სრულ სიმართლეს ვამბობ. მე ისეთი საშუალება მოვიგონე, რომ თესვა საჭირო აღარ არის. შეიძლება ფქვილი მომზადდეს ისეთ ნივთიერებისგან, რომელიც დაულეველია ბუნებაში. შემიძლიან იმდენი გავაკეთო, რამდენიც მსურს, ამასთან დახარჯული შრომა აინუნში მოსატანი არც-კია. რაც რამდენიმე ათასი მიწათმომქმედი ერთ წელიწადს გააკეთებს, ჩემის გამოგონების წყალობით იმას ერთი კაცი ერთ დღეს გააკეთებს.

— დაასახელე შენი გამოგონება, თორემ შეგიძულებ, როგორც მატყუარას.

ევკოსმოსმა წყნარად უპასუხა:

— ჩემი საიდუმლოება—ერთათ ერთი ჩემი ქონებაა. მეფემ იცის ჩემი პირობა. თუ ჩემ პირობას არ შეასრულებთ, ლუკმა-ლუკმაც რომ მაქციოთ, ჩემ საიდუმლოებას არ გავამჟღავნებ. ანგარებით რო ვიყო გამსჭვალული, მაშინ ამას ოქროთ ვაქცევდი. იმ დღიდან, რა დღესაც ჩემი სურვილი შესრულებული იქნება, მე სამუდამოდ გავანთავისუფლებ გაჭირებისაგან კაცობრიობას: მივცემ ხალხს პურს უშრომლათ, უფულ-დაუღვრელად, პურს, რომელსაც ველარ გააფუჭებს ბალახ-ბულახი ან მოუსავლობა...

კრეზი მიუახლოვდა ევკოსმოსს:

ჩვენ მოგისმინეთ, წადი და მოუცადე ჩემს გადაჭრილს პასუხს.

— ეს თუ ასეა,—სთქვა ეზოპოსმა:— ევკოსმოსი რატომ ეხლავე არ შეუდგება ფქვილის დარიგებას ღარიბებისთვის? რათ უნდა იყვნენ მშიერნი თუნდ ერთ საათსაც? შეგიძლიან, საყვარელო ევკოსმოს, საიდუმლოება შეინახო ჯერ-ჯერობით, მაგრამ თუ გული გაქვს და თუ აფასებ ხალხის კეთილდღეობას, უნდა დიდ სულოვნება გამოიჩინო.

— დიდის სიამოვნებით—სთქვა ევკოსმოსმა:—მხოლოდ მეფემ სიტყვა მომცეს, რომ არავინ ეცდება ჩემ საიდუმლოების გაგებას.

— ევკოსმოს, გაძლევ ჩემ მეფურ სისიტყვას!

ჭაბუკმა თავი დაუკრა და წავიდა.

— თქვენ რაღას იტყვით, ჩემო მეგობრებო?—მიმართა კრეზმა, როცა ისევ მარტონი დარჩნენ.

— მიათხოვე შენი ქალი, მეფეო ლიდიისაო!—წამოიძახა სიხარულით ეზოპოსმა.

— შენ რაღას მირჩევ, სოლონ?

სიკვდილი მაგას!

კრეზმა და ეზოპოსმა განცვიფრებით შეხედეს ათინელს, რომელსაც რაღაც უცნაურად აღეგზნო თვალები.

პირველად მეფე გამოერკვა:

— ჰო,—სთქვა იმან:—ჩამოვახრჩო იმ შემთხვევაში, თუ იმისი სიტყვები ტყუილი გამოდგა?

— არა, მეფე ლიდიისავ: სიკვდილი იმას, თუ მართალს ამბობს...

— სოლონ, ველარა გცნობ! წამოიძახა ეზოპოსმა: სიკვდილით გინდა დაისაჯოს ის, ვინც კაცობრიობას გააბედნიერებს?

— მე ამაზე ერთ წუთსაც არ დავფიქრდებოდი!—დაუმატა სოლონმა.

მეკი თანახმა არა ვარ!—წამოიძახა კრეზმა:—მართალია, მეც აღელვებული ვარ ამ ჭაბუკის თავხედობით, რომელიც ჰბედავს და ქალსა მთხოვს, მაგრამ სიკვდილით დავსაჯო?—ეს ხომ უაზრობაა.

მცირედად განრისხებულმა მიუგო სოლონმა:

მაშ, შენ ღირსი არა ხარ მეფე იყო.

ამის გაგონებაზე ეზოპოს შეშინდა; უნდოდა შეემცირებინა მკვეთრი პასუხი სოლონისა, მაგრამ კრეზმა ღიმილით უპასუხა:

— მე იმდენათ პატივსა ვცემ ჩემ ღირსებას, რომ შემიძლიან წყნარად მოვისმინო მკვეთრი სიტყვა. გაგვიმარტე შენი აზრი, ძვირფასო სოლონ!

— ჩემი აზრი, კრეზ, ძლიერ მარტივია, ისეთივე მარტივი როგორიც თქვენია. განსხვავება მხოლოდ ის არის, ვინ როგორ უყურებს საქმეს. ამიტომაც ვფიქრობ, ათინელნი მართალნი იყვნენ, როცა მე მომანდეს კანონების შედგენა. თქვენ სარგებლობას ანგარიშობთ ერთის საათით, კვირით, წლით, მე კი მივეჩვიე საუკუნოებით ანგარიშს. ეს ახალგაზდა უდიდეს განსაცდელს უქადის კაცობრიობას. მიწას ნაყოფი იმიტომ კი არ მოაქვს, რომ ეს ღმერთებს უნდოდეთ, არამედ იმიტომ, რომ იგი ირწყვება მშრომელთა ოფლით. ამ ჭაბუკს ჰსურს ეს მოსპოს. იგი უჭკუოა,—უნდა ხალხი დაუდევარი გახადოს: უნდა წაართვას ის, რაც საუკეთესოა—შიმშილი. რა მოჰყვება ამას? ჩვენ დაუბრუნდებით პელასგების ველურ დროს. მიწათმოქმედებასთან ერთად დავკარგავთ ბინადრობას, ერთ ალაგას ცხოვრებას, საზოგადოებრივ გრძნობას!... მეფევ ლიდიისავ, თუ შენ ნამდვილი მეფე ხარ, სიკვდილი ევკოსმოსს!

— სოლონ, აპატიე!—შეევედრა კრეზი.

— მეფემ უნდა იცოდეს დასჯა,—შეუბრალებლად განაგრძო სოლონმა,—არა მარტო ბოროტის და დამნაშავის,—ეს ადვილიც არის და სასურველიც: არა, უნდა გაანადგუროს კეთილიც, თუ ამას ხალხის კეთილ—დღეობა თხოულობს! სწორედ იმიტომ აქვს მინიჭებული მეფეს უმაღლესი უფლება, რომ ყველა ეს მოიმოქმედოს. ჩვენი მეიგავარაკე, უეჭველია, ჰფიქრობს, რომ მე უგულო ვარ. დეე, ასე იყოს. გამომხატე შენს ლექსებში გაავთრებულ ნადირის მგზავსად, ეზოპოს! მე მაინც ვიტყვი, რომ სიკვდილი ამ ბრწყინავ ჭაბუკისა ჩვენის დროის დიდი ღვაწლი იქნება. გეტყვით პირდაპირ, ჭაბუკმა ჩემი გული მოაჯადოვა. გული დამეკოდება, როცა იგი აღარ იქნება, მაგრამ მწუხარება განუსაზღვრელი იქნება, თუ იგი ცოცხალი დარჩება. ამის სიკვდილით სამსახურს გაუწევთ ელადას, მთელ ქვეყ-

**იაპონიის ცხოვრებიდან**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)



ნიერობას და უმწიკვლო სინიდისი ამისთვის დაგვაჯილდოებს. ეს უდიდესი ღვაწლი იქნება იმ ღვაწლთაგანი, რომლის შესახებ არც ერთი ისტორიკოსი არ მოგვითხრობს, რომელიც არც ერთ ჰომეროსს არ შეუქია.

— ჩუმად!—მწუხარედ წარმოსთქვა მეფემ —ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი.

— დიდება ზეციურ ღმერთებს!—შვების ოხვრა აღმოხდა ეზოპოსს.—მე განსაკუთრებულ მსხვერპლს შევწირავ აპოლონს იმისთვის, რომ ბედმა პოლიტიკოსობა არ მარგუნა!.. მომისმინე, ჩემო კეთილო სოლონ: თუნდ მაგრეც იყოს, როგორც შენ ამბობ, საიდან იცი, რომ ხვალე სხვა არ გამოვა იმავე გამოგონებით? ეს ხომ შემთხვევითაა, რომ ევკოსმოსმა ომფალა შეიყვარა და ამის წყალობით ჩვენ ყველაფერი გავიგეთ. მოვა მეორე, რომელიც ჩვენთვის უცნობი დარჩება, ხალხს გაანთავისუფლებს შიმშილისაგან, რაიცა სრულიადაც არ მეწყინება: არ მეწყინება იმიტომ, რომ მე, სოლონ, ვიცი თუ რა არის შიმშილი; იქნებ იმიტომაც გავხდი ხალხის მელექსედ...

სოლონმა უპასუხა:

ვსთქვათ, შენი აზრი მართალია, ეზოპოს. შესაძლებელია, რომ ევკოსმოსს მოჰყვნენ სხვები. მაგრამ საკითხი აი რა არის: როდის? ათასი წლები გაივლის მანამდის. ეს დრო-კი ტყუილად არ ჩაივლის კაცობრიობისათვის, როგორც შენ ჰფიქრობ, პოეტო: არა, კაცობრიობა გაუკეთესდება, გამდიდრდება. აბა შეადარე, რა მაღლა სდგას თანამედროვე ბერძენთა ზნე-ჩვეულებანი ძველთან შედარებით. ამას კი უნდა უმადლოდეთ შიმშილს, რომელიც ჩვენ შრომას გვასწავლის. შრომა მაღლდება ხელოვნებამდის, საკუთარ სარგებლობაზე მსჯელობას შეუძლიან მიგვიყვანოს უმაღლეს ფილოსოფიამდის. ვინ იცის, რომელ უცნობ ზღვებში რამდენი ატლანტიდა ელის ჯერ კიდევ თავისს აღმომჩენელს! შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ მომავალში უფრო წსრაფი ურმები იქნება ხალხის სამგზავროდ ათინიდამ კორინთამდე. ვფიქრობ აგრეთვე, რომ მომავალში აწინდელზე გაცილებით უფრო ძლიერი გემები იქნება. ნუ ჩააქრობთ კაცში გამოგონების უნარს, ნიჭს. შესაძლებელია, კაცობრიობისთვის დადგეს ისეთი ბედნიერი დღეები, როცა იგი სრულიად აღარ საჭიროებდეს შიმშილს. მართალია, ესოდენ შორს ვერა სწვდება ჩემი გონება, მაგრამ მანც შესაძლებელია ყველაფერი... კრეზ გამიგონე: სიკვდილი ევკოსმოსს! განა კიდევ ყოყმანობ! მაშ გირჩევ ასე მოიქცე: გაგზავნე კაცი უპირველესს ბრძენთან,—დეე იმან განსაჯოს ჩვენი დავა.

— მილეთელ თალესთან? ჰკითხა ეზოპისმა.

— დიახ, თალესთან!—სთქვა სოლონმა:—უამბე იმას, რაშიაც არის საქმე. ჩვენი მეგობარი ეზოპოსი ყველაზედ კარგად მოახერხებს ამას, ყველაფერს ჩვეულებრივის მჭერმეტყველებით გადასცემს. ნურაფერს ნუ ეტყვი ჩემ შესახებ. დეე, თავისუფლად დასდვას მსჯავრი. რასაც ის იტყვის, იმას მეც სიმართლედ ვსცნობ.

კარგი, თანახმა ვარ!—წამოიძახა კრეზმა, რომელსაც უხაროდა გადაწყვეტილების გადადება,—დეე თალესმა გვამცნოს, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში.

მეორე დღეს, დილა—ადრიან, მეფის დესპანი უკვე მიჰქროლავდა მილეთისაკენ. პასუხიც მალე მოვიდა; შემოეთვალა: „მეფევ! მადროვე მოსაფიქრებლად: შენ ძნელი საქმე დამავალე, ისეთი საქმე, რომელიც სინიდისს შეეხება და მე არ შემიძლიან დაუყოვნებლივ პასუხი მოგცეო.“

თვეები გადიოდა. თალესისაგან კი არავითარი ამბავი არ მოდიოდა. კრეზმა ერთხელ კიდევ გაჰგზავნა თავისი დესპანი. ეს უკანასკნელი უცნაურის ამბით დაბრუნდა. თალესი წასულა, მაგრამ არავინ იცის სადაო. კრეზმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, მაგრამ სოლონმა უთხრა:

— მოიცადე! თალესმა ყოველთვის კარგად იცის, რასაც აკეთებს. მალე გაიგონებ იმის მსჯავრს,—იგი გონიერი და ბრძენია.

ევკოსმოსი მეფისა და იმის მეგობრების სასიყვარულო მოსაუბრედ გადაიქცა. ყოველ დღე ისინი ალტაცებაში მოდიოდნენ იმის ჭკუით, გამბედაობითა და მტკიცე ხასიათით. ყველაზე უფრო სოლონმა შეიყვარა იგი. ხშირად ეუბნებოდა ჭაბუკს, როცა სამშობლოში დავბრუნდები, ნეტავ ჩემი შვილიც შენისთანა დამიხვდესო. ამ დროს გახარებული კრეზი გაიხმობდა ხოლმე გვერდზე სოლონს და ჰკითხავდა:

— რას იტყვი, ისევ წინანდელ აზრისა ხარ?

— ისევ იმ აზრისა ვარ!—მტკიცედ უპასუხებდა სოლონი.

ევკოსმოსს ეხლა უკვე შეეძლო მშვენიერ ომფალას ნახვა. იგი გამოუტყდა ახალგაზდა ქალს თავის სიყვარულში. გაზაფხული იყო, როცა ომფალამ უპასუხა: „ევკოსმოს, მეც მიყვარხარ და მინდა შენი ცოლი გავხდე, როცა გაივლის შენი გამოცდის დრო.“

ქალმა მარტო ის იცოდა, რომ ევკოსმოსს დანიშნული აქვს დრო გამოსაცდელად. ესეთი იყო მამის სურვილი.

ტატო —მე.

(დასასრული იქნება.)

## ქაირათიანი პოლიციელი



— არ მესმის, ხელიდან რად გაუშვით ქურდი?

— ორიოდე მივარტყი და გავუშვი, იმიტომ რომ სახელმწიფომ ტყუილად არ დახარჯოს ფული იმისთანა მაწანწალებზე.

## ტფილისისათვის კვლავ ქალაქის„თავის ძებნა.



— ვეძებ, ვეძებ „თავს“, რომ ჰქონდეს თავი, მაგრამ!..